

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის  
სსდომის

ო ქ მ ი № 10

ქ. საჩხერე

2019 წლის 29 ივლისი

სსდომას ესწრებოდნენ: ლ.დეკანოიძე, ი.ძინძიბაძე, ნ.ბუღაძე,  
დ.მაჭარაშვილი, მ.დემეტრაშვილი, მ.ნოზაძე, შ. ტყემალაძე და  
თ.კალმახელიძე

სსდომას ესწრებოდა საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ჩხიკვაძე.

დღის წესრიგი

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და  
დამატებების შესახებ.

/მომხს: კომისიის თავმჯდომარე ლ.დეკანოიძე/

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის  
წესის დამტკიცების შესახებ.

/ მომხს: კომისიის თავმჯდომარე ლ.დეკანოიძე/

1. მოისმინეს: საჩხერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში  
ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. მომხსენებელმა კომისიას  
მოახსენა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განხორციელდა მეცხრედ, რაც  
განპირობა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 ივლისის №1506 და  
1507 განკარგულებებით საჩხერის მუნიციპალიტეტზე თანხების  
გამოყოფამ. საჩხერის მუნიციპალიტეტს 980 000 ლარი გამოეყო  
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის და 1 002 200  
ლარი მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის. ასევე გამოყოფილი იქნა

ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაციისათვის 95 600 ლარი და მოხდა აღნიშნული თანხების ბიუჯეტში ასახვა. ბიუჯეტში ასახული იქნა აგრეთვე სწავდასწავა აუცილებლობიდან გამომდინარე განსაზღვრული თანხები.

მეცხრე ცვლილებით ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 28 304 600 ლარით. საიდანაც ხარჯების დაფინანსებას უნდა მოხმარდეს 11 148 100 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდას 17 129 600 ლარი.

2. მოისმინეს: საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა კომისიას მოახსენა, რომ სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესი მიზნად ისახავს საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის ხარჯვის მექანიზმის განსაზღვრას, რომლის მოცულობა არ აღემატება წლიური დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების საერთო მოცულობების 2 პროცენტს და ამ წესით დამტკიცებულ სარეზერვო ფონდს განკარგავს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი – მერი.

სსდომაზე განხილულ საკითხებზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს კომისიის წევრებმა.

დაადგინეს:

- საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სსდომაზე განხილული საკითხები შეტანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სსდომაზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: *ს. ჯიჯიაძე* ლ. დეკანოიძე/